პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 251 (5281)

1974 წ. 19 დეკემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

18 დეკემბერს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ.

დილის 10 საათზე კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ა. პ. შიტიკოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, ფეხზე ამდგარნი შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ა. გრეჩკოს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, დ. ა. კუნაევს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, პ. მ. მაშეროვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, გ. ვ. რომანოვს, მ. ს. სოლომენცევს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს.

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი, აგრეთვე მისი მუშაობის წესი.

სესიის დღის წესრიგშია საკითხები:

1. ლატვიის სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.

2. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა.

3. სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დღის წესრიგის მეორე პუნქტზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. კ. ბაიბაკოვმა.

(საქინფორმი).



### სსრ კავშირის ჩემპიონატი

## ლიდერი ლიტვაში მიემგზავრება

მინსკი, 17 დეკემბერი. ადგილობრივმა რტი-მ მეორე შეხვედრაშიც შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონატის ლიდერს [illegible] „სპარტაკს", მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდა — [illegible].

ნევისპირელები ბელორუსიის დედაქალაქიდან ლიტვაში გაემგზავრებიან, სადაც ორ მატჩს გამართავენ „ჟალგირისთან" და „სტატიბასთან" და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდებიან შინ, რათა ახალი წლის წინა დღეებში მიიღონ თბილისის დინამოელები.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 14 | 12 | 2 | 1208—1011 | 12 |
| „დინ." (თბ.) | 12 | 11 | 1 | 1075—987 | 11 |
| ცსკა | 12 | 9 | 3 | 1118—968 | 9 |
| „დინ." (მ.) | 12 | 9 | 3 | 1031—899 | 9 |
| „ჟალგირ." | 12 | 8 | 4 | 1035—1002 | 8 |
| „კალევი" | 12 | 5 | 7 | 965—955 | 5 |
| „სტროიტ." | 10 | 3 | 7 | 806—848 | 3 |
| „სტატიბა" | 12 | 2 | 10 | 947—1097 | 2 |
| რტი | 14 | 2 | 12 | 1086—1262 | 2 |
| „ურალმაში" | 14 | 1 | 13 | 1110—1352 | 1 |

## ერთი წლის წინ და ახლა

თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა, ისევე როგორც 42-ე ჩემპიონატის მონაწილეთა უმრავლესობამ, უკვე გაიარეს მარათონული დისტანციის ერთი მესამედი. სსრ კავშირის ახალი ჩემპიონისა და პრიზიორების ვინაობას გავიგებთ ზუსტად 36 ტურის შემდეგ, დღეისთვის კი პრეტენდენტებს ჩატარებული აქვთ 12-12 მატჩი.

„დინამოს" გულშემატკივრები საყვარელი გუნდის მდგომარეობით, რა თქმა უნდა, კმაყოფილნი არიან. იგი სატურნირო ცხრილში 11 ქულით II ადგილზეა, ხოლო დაკარგული ქულებით — პირველზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შარშან, 12 მატჩის შემდეგ, თბილისელებს ჰქონდათ მხოლოდ 5 ქულა და სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე იმყოფებოდნენ.

თბილისელთა წლევანდელ წარმატებას ბევრი მიზეზი აქვს. გუნდი სერიოზულად მოემზადა ჩემპიონატისთვის, მოთამაშეები გრძნობენ პასუხისმგებლობას, ცდილობენ, რაც შეიძლება ზუსტად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა...

ჯერჯერობით ჩემპიონატის ყველა 12 მატჩი ჩაატარა მხოლოდ სამმა დინამოელმა. ესენი არიან: მ. ქორქია, ჩიხლაძე და ბიჭიაშვილი. თითო შეხვედრა გამოტოვეს ძიძიგურმა, ქარაბაკმა და პულავსკიმ. სულ დინამოელთა მწვრთნელმა ლ. მოსეშვილმა ამ ჩემპიონატში 14 კალათბურთელი გამოსცადა. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მით უმეტეს, რომ მწვრთნელი თამაშს ახალგაზრდა კალათბურთელებსაც ანდობს.

როგორც ჩემპიონატის ცხრილიდან ჩანს, თბილისის დინამოელებს 12 მატჩში გატანილი აქვთ 1075 ქულა. აი, როგორ არის განაწილებული ეს ქულები ცალკეულ მოთამაშეებზე (ფრჩხილებში აღნიშნულია ჩატარებულ შეხვედრათა რაოდენობა):

| | | | |
|---|---|---|---|
| მ. ქორქია | — | 271 ქულა | (12) |
| ჩიხლაძე | — | 163 | (12) |
| ბიჭიაშვილი | — | 132 | (12) |
| ქარაბაკი | — | 112 | (11) |
| პულავსკი | — | 92 | (11) |
| ძიძიგური | — | 91 | (11) |
| ბოლქვაძე | — | 65 | (7) |
| საკანდელიძე | — | 60 | (5) |
| ჩხიკვაძე | — | 36 | (6) |
| ნ. ქორქია | — | 24 | (4) |
| ჯგერენაია | — | 15 | (3) |
| ფიცხელაური | — | 8 | (3) |
| ნარიმანიძე | — | 4 | (1) |
| მაღალთაძე | — | 2 | (1) |

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

42-ე ჩემპიონატის შედეგების შედარება წინა ჩემპიონატთან საინტერესო სურათს იძლევა. ასე მაგალითად, ლიდერს — ლენინგრადის „სპარტაკს" მაშინაც იმდენივე ქულა ჰქონდა (12), რამდენიც ახლა. ცსკა-ს წლევანდელი მაჩვენებელი 2 ქულით ჩამორჩება შარშანდელს, თუმცა, მაშინ მას მხოლოდ ქულა ჰქონდა დაკარგული. შარშანდელთან შედარებით უკეთ თამაშობს მოსკოვის „დინამოც" და განსაკუთრებით — „ჟალგირისი".

ლიტველები 41-ე ჩემპიონატის მე-12 ტურში ბოლო ადგილზე იმყოფებოდნენ. მათ მხოლოდ 2 ქულა ჰქონდათ. ამ ჩემპიონატში კი „ჟალგირისმა" 6 ქულით მეტი დააგროვა.

იმისთვის, რომ უფრო უკეთ შევძლოთ წინა და ახლანდელი ტურნირების შედეგთა შედარება, გადავხედოთ წინა, 41-ე ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს. მაშ ასე, ზუსტად ერთი წლის წინ გუნდების მდგომარეობა ასეთი იყო:

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 14 | 12 | 2 | 1038—907 | 12 |
| ცსკა | 12 | 11 | 1 | 1113—944 | 11 |
| „კალევი" | 12 | 8 | 4 | 947—865 | 8 |
| „დინ." (მ.) | 12 | 6 | 6 | 943—948 | 6 |
| „დ." (თბ.) | 12 | 5 | 7 | 930—971 | 5 |
| რტი | 14 | 5 | 9 | 981—1106 | 5 |
| „სტროიტ." | 10 | 4 | 6 | 785—785 | 4 |
| ასკ (რ.) | 12 | 3 | 9 | 899—1013 | 3 |
| ასკ (კ.) | 14 | 3 | 11 | 1023—1151 | 3 |
| „ჟალგირ." | 12 | 2 | 10 | 874—926 | 2 |

### რაიონებში [illegible]

**აბაშა**

ჩატარდა კალათბურთელთა შეჯიბრება გარდამავალ თასზე, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გუნდები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ეწერის და ქოლობნის გუნდები. ტაიმი ქოლობნელებმა მოიგეს — 30:23, მაგრამ მეორე ნახევარში გააქტიურდნენ ეწერლები, რომლებმაც საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 59:58.

საინტერესოა აღინიშნოს რომ ეწერის გუნდი მეორედ იგებს გარდამავალ თასს.

• • •

ფრენბურთელთა რაიონული პირველობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მაედნისა და ეწერის ნაკრები გუნდები. გამარჯვება მაედნელებს დარჩათ — 2:1. III ადგილზე გავიდა ონტოფოს სპორტსმენთა კოლექტივი.

 რ. ჭანტურია.
(ჩვენი კორ.).

## სიმაშოვი და ბარანოვა

კიროვო-ჩერპეცკი, 18 დეკემბერი. აქ მოეწყო მოთხილამურეთა ტრადიციული შეჯიბრება — „რუსეთის თხილამურები". 15-კილომეტრიანი დისტანცია მოიგო ფ. სიმაშოვმა. 5 კილომეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ლ. ბარანოვა (დულოვა).

## 16:3

შვეციაში სტუმრად მყოფმა სსრ კავშირის ჰოკეისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჩაატარა დასკვნითი შეხვედრა სედერმანლანდის პროვინციის ნაკრებთან. გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა — 16:3.

ამ შეხვედრამდე სტუმრებმა 3 მატჩი მოუგეს შვეციელ თანატოლებს.

## კარგი ტრადიცია

ეს შეჯიბრება ტრადიციულად ტარდება ლენინაკანში. იგი ატარებს სომხეთის დამსახურებული მწვრთნელის ავეტიკ კატიანის სახელს. შეჯიბრებაში, როგორც წესი, ადგილობრივი მოჭიდავეების გარდა მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ათლეტები. ასე იყო ამჯერადაც: ტურნირში სხვებთან ერთად ძალებს სცდიდა საქართველოს „შრომითი რეზერვების" ნაკრებიც.

წარმატებით იასპარეზეს საქართველოს მოჭიდავეებმა. სპორტის ოსტატმა ტარიელ ვეფხვაძემ ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო და ცხადია, I ადგილიც დაისაკუთრა. პირველ ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი ზურაბ მირაქიშვილიც.

პრიზიორები გახდნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვა მოჭიდავეებიც. ასე მაგალითად, ტ. კიკნაძე და ს. ზაზაძე II ადგილებზე გავიდნენ, ხოლო გ. თავაძე — III.

ვ. ბარბაქაძე,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

## მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

უნგრეთის ქალაქ სეგედში აშენდა ახალი სპორტული კომპლექსი. მის სამსართულიან შენობაში მოთავსებულია საწვრთნელი დარბაზები, გასახდელები, საშხაპეები. შეჯიბრებისთვის განკუთვნილი სპორტული დარბაზი იტევს 3500-მდე მაყურებელს.

• • •

სურათებზე: სასახლის წინახედი და სარბიელი.

საქვეუ ფოტოქრონიკა





# რა ჰქვია ამას, უდარდელობა?

## ორჯერ ჩაშლილი კონფერენცია

ასეთი რამ, რაც თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაემართათ, საერთოდ არ უნდა ხდებოდეს. საქარხნო კონფერენცია ორჯერ მოიწვიეს და არც ერთხელ არ გამართულა. ეს პირდაპირ სამარცხვინოა.

ამ ქარხანაში პარტიული, კომკავშირული ან პროფკავშირული კონფერენცია თუნდაც ერთხელ რომ ჩაშლილიყო, სრულიად სამართლიანად, დირექციის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საერთო მსჯელობის საგანი გახდებოდა, დამნაშავენიც უთუოდ სათანადოდ დაისჯებოდნენ.

მაგრამ ამჯერად საქმე ქარხნის ფიზკულტურული ორგანიზაციის კონფერენციას ეხებოდა და სამარცხვინო ფაქტს მაინცდამაინც დიდად ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორის ა. მარანჯევას გარდა ორგანიზაციის ხელმძღვანელებიდან არავინ შეუწუხებია.

რა ჰქვია ამას? — დაუდევრობა? ფიზკულტურის კოლექტივის საქმიანობისადმი უზრუნველობა. ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი კი თუ ყველა მის წინაშე მდგარ ამოცანებს გავითვალისწინებთ, მაინცდამაინც არ ბრწყინავს.

რა მოხდა?

წლეულს „განთიადის" ფიზკულტურულ კოლექტივებში ანგარიშგება-არჩევნები ტარდება, იგი ყველასთვის სავალდებულოა. ელმავალმშენებელთა ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო ორი წლის მანძილზე ქარხანაში მასობრივ-ფიზკულტურულ, გამაჯანსაღებელ და სპორტულ საქმიანობაში, ბაზების ქსელის გაფართოებაში, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ კოლექტივის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშით უნდა გამოსულიყო.

ფიზკულტურელთა ცხოვრებაში კონფერენციები დიდი მოვლენაა, აქ ყველას შეუძლია პირუთვნელად ილაპარაკოს ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს, ინსტრუქტორის, მეთოდისტის, მწვრთნელის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, ზემდგომი ორგანიზაციების, დირექციის დახმარებაზე. კონფერენციამ ფარდა უნდა ახადოს სიყალბის, თვალის ახვევის ფაქტებს, დელეგატებმა აქ უნდა დასახონ შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების გზები.

ეჭვი არ გვეპარება, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის დირექციამ, პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭომ ეს შესანიშნავად იციან, მაგრამ...

„განთიადის" საქალაქო საბჭოში ელმავალმშენებელთა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის გ. ლობჟანიძის ხელმოწერით 25 ოქტომბრის თარიღით გამოგზავნილი ასეთი შეტყობინება მიიღეს: „ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის კონფერენცია გაიმართება 10 დეკემბერს, 17 საათზე".

ცხადია, ქარხნიდან ასეთი ცნობა ისე არ გამოვიდოდა, თუ იგი შეთანხმებული არ იქნებოდა სადაც ჯერ არს, ვადას ისე არ დაადგენდნენ, ყველა მოსალოდნელი შემთხვევა გათვალისწინებული რომ არ ყოფილიყო.

10 დეკემბრამდე ქარხნის ოცდაორივე საამქროსა და განყოფილების ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის საანგარიშო კრებები გაიმართა, საქარხნო კონფერენციის დელეგატები აირჩიეს, დელეგატებს მანდატებიც კი დაურიგეს. ფიზკულტურელები, სპორტსმენები კონფერენციის ჩატარებას მოუთმენლად ელოდნენ.

ეს დღეც დადგა. ქარხნის დარბაზისკენ დანიშნულ დროს დელეგატები დაიძრნენ, მაგრამ მარანჯევა ყველას ბოდიშის მოხდით უკან აბრუნებდა. თანაც ცდილობდა ყველასთვის შეძლებისდაგვარად განემარტა ის, რაც წინა საღამოს მოხდა.

— საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ წინა საღამოს დამიბარა და მითხრა, — გვიყვება ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი, — პარტიული კომიტეტის მითითებით ხვალ საქართველოს კომპოზიტორებთან ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შეხვედრა ეწყობა, ამიტომ ფიზკულტურის კოლექტივის კონფერენცია უნდა გადაიდოსო. კონფერენციის ხელახლა დანიშვნის თაობაზე ორიოდე დღის შემდეგ შევთანხმდეთო.

ცხადია, კომპოზიტორებთან შეხვედრა, მათს შემოქმედებით გეგმებზე საუბარიც საჭიროა, მაგრამ, როგორ მოხდა, რომ ვერც ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა, ვერც პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა ვერ მოახერხეს საქმე ისე წარემართათ, რომ თითქმის ორი თვის წინათ დაგეგმილი ფიზკულტურელთა კონფერენცია არ ჩაშლოდათ? კონფერენცია არ ჩატარდა. ქარხნის ფიზკულტურელთა თითქმის 85000-კაციანი არმიის წარმომადგენლები (170 დელეგატი) გაწბილებული დარჩნენ.

იქნებ ამაზე არავის არაფერი ეთქვა, იქნებ მომხდარი ამბავი ქარხნის ტერიტორიას არ გასცილებოდა, რომ ერთ დანაშაულს მეორე არ მოჰყოლოდა.

განმეორებით კონფერენცია 17 დეკემბრისთვის დაინიშნა. ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი, მისი კოლეგები, საბჭოს წევრები საამქროებიდან საამქროებში დადიოდნენ, საამქროების უფროსებს, მათ მოადგილეებს, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ფიზორგებს, დელეგატებს, ვისაც კი შეხვდებოდნენ, აფრთხილებდნენ კონფერენცია 17 დეკემბერს აუცილებლად ჩატარდებაო. მაგრამ იგი არც ამ დღეს გამართულა.

სხდომათა დარბაზი კონფერენციისთვის საზეიმოდ მორთეს. პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე ს. კაპანაძე, პროფკავშირის საქარხნო [illegible] თავმჯდომარის მოადგილე რ. მზარეულუა, კომკავშირის [illegible] მდივნის მოადგილე ნ. გუბელაძე, ფიზკულტურის თავკაცები დელეგატებს დარბაზში ელოდნენ. კონფერენციის გახსნის დროც მოიწურა, მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა.

როცა დელეგატების რეგისტრაციის სიას, მერე კი დარბაზს გადახედეს, გაირკვა, რომ 170 დელეგატიდან სულ 70-მდე კაცი შეკრებილიყო. ყველა საამქროს ხელმძღვანელიდან აქ მხოლოდ 10 მოვიდა. კონფერენცია უფლებამოსილი არ გახლდათ და... ჩაიშალა.

თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში ეს არ მოხდებოდა, პარტიული, პროფკავშირისა და კომკავშირის კომიტეტები ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობით სათანადო დაინტერესებას რომ იჩენდნენ, ამ კოლექტივის საბჭოს პრაქტიკულად რომ ეხმარებოდნენ.

კონფერენციის ჩაშლაში უთუოდ ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო და ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორიც დამნაშავე არიან, რომ მათ ეს დიდი ღონისძიება პრინციპულ დონეზე არ აიყვანეს და პირველი საგანგაშო სიგნალისთანავე სათანადო ღონისძიება არ გაატარეს.

ვფიქრობთ, ეს მოვლენა ზემდგომი ორგანოების მსჯელობის საგანი გახდება.

# საჭიროა მეტი ყურადღება და მხარდაჭერა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების თაობაზე, ჩვენი რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და სოფელში შესამჩნევი გამოცოცხლება გამოიწვია. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, ფიზკულტურის კოლექტივებმა ერთგვარად გარდაქმნეს თავიანთი საქმიანობა.

ბუნებრივია, იმ დიდი ამოცანების გარეშე, რასაც აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებს, ვერც წყალტუბოს რაიონი დარჩებოდა. აქ ბევრი რამაა გასაკეთებელი...

### ყველა სპეციალისტი

კარგადაა დაყენებული ფიზკულტურის სწავლება რაიონის საშუალო სკოლებში. ეს ძირითადად კვალიფიციური სპეციალისტების საკითხის წარმატებით გადაჭრამ განაპირობა. ყველა საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს უმაღლესი ფიზკულტურული განათლება აქვს. მაგრამ ჩამორჩება რვაწლიანი სკოლების მდგომარეობა, სადაც ძირითადად არასპეციალისტები ასწავლიან, ამიტომ აქ მუშაობაც მოიკოჭლებს.

ცუდი მდგომარეობაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტული ბაზების მხრივ. 21 საშუალო სკოლიდან შვიდს საერთოდ არ გააჩნია სპორტდარბაზი, ხოლო თოთხმეტში მცირე ზომისაა და თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

### სპორტსკოლელთა გასაჭირი

სპორტული ბაზების უკმარობას ყველაზე მეტად სპორტსკოლა (დირექტორი ი. ბითაძე) განიცდის. მეცადინეობისთვის აქ არ არსებობს საჭირო პირობები. სპორტსკოლელები ქალაქის რუსულ საშუალო სკოლას არიან შეკედლებული და ადვილი წარმოსადგენია, რა პირობებში უხდება ვარჯიში სპორტსკოლის 24 ჯგუფში გაერთიანებულ 768 მომეცადინეს.

1973 წლის დეკემბრამდე სპორტსკოლას ძალოსნობის სექცია ჰქონდა. ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი, სპორტის ოსტატი ვ. ქაშიბაძე უნარიანად ხელმძღვანელობდა სექციის მუშაობას და წარმატებებსაც აღწევდა. მაგალითად, მისი მოწაფე გ. მამიაშვილი საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის და სსრ კავშირის პირველობაშიც მიიღო მონაწილეობა. ძალოსნებს სავარჯიშო ოთახი ჯერ რუსულ სკოლაში ჰქონდათ, შემდეგ დოსააფის რაიონული კომიტეტის შენობაში გადაინაცვლეს, ბოლოს იქიდანაც გამოასახლეს და... სექციაც დაიხურა.

ამავე მიზეზით შეწყვიტა მუშაობა ჭადრაკის სექციამაც (მწვრთნელი ოსტატი ჯ. ბერაძე).

და მაინც სპორტსკოლელებმა წარმატებებს მიაღწიეს ჭიდაობაში, ფრენბურთში (გოგონები) და ფეხბურთში. წყალტუბოელი მოსწავლეები კარგად გამოვიდნენ რესპუბლიკის სპარტაკიადაში (VII ადგილი). საინტერესოა, რომ 1972 წლის სპარტაკიადაში მათ XX ადგილი დაიკავეს, 1973 წელს კი — XIV. ეს პროგრესი რაიონის ახალგაზრდობის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

### მონდომებული მუშაობით

სპორტსაზოგადოებებს შორის მოწინავეა „კოლმეურნეს" რაისაბჭო (თავმჯდომარე ვ. კობახიძე). მისი 28 კოლექტივი 4700 ფიზკულტურელს აერთიანებს. ტრადიციად იქცა რაიონის პირველობები ჭიდაობაში, ფრენბურთში, ფეხბურთსა და კალათბურთში. საქართველოს სოფლის II სპორტულ თამაშებში კარგად გამოვიდა რაიონის ნაკრები გუნდი. წყალტუბოელებმა სპორტის 6 სახეობაში მიიღეს მონაწილეობა და 45 კოლექტივს შორის IX ადგილი დაიკავეს.

ორგანიზებულად ჩატარდა რაიონში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, რამაც ნიშნოსანთა მომზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულება განაპირობა, შესრულებულია თანრიგოსანთა მომზადების გეგმაც.

თითქმის ყველა სოფელს მარტივი ტიპის ბაზა გააჩნია, 4 კოლმეურნეობაში ტირია გახსნილი.

რაიონის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ რიონის, მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობები, გეგუთისა და ფარცხანაყანევის საბჭოთა მეურნეობები.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ქვედა მესხეთისა და ცხუნკურის კოლმეურნეობებზე, აგრეთვე, პატრიკეთის საბჭოთა მეურნეობაზე. ამ სოფლების თავკაცები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას გულგრილად ეკიდებიან.

„კოლმეურნის" რაისაბჭოს საქმიანობაში ნაკლოვანებებიც გვხვდება. ნაკლები ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებას, მასობრივ ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას. სოფლად ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტების დიდი ნაკლებობაა: 28 კოლექტივში მხოლოდ 4 შტატიანი მეთოდისტია.

### მაინც ვუსაყვედურებთ

„განთიადის" რაისაბჭომ (თავმჯდომარე გ. ზვიადაძე) უკვე მოაწყო პირველობები ფრენბურთში, ფეხბურთში, ტყვიის სროლასა და მაგიდის ჩოგბურთში, მაგრამ „განთიადს" მაინც უნდა ვუსაყვედუროთ: ორგანიზაციებში ჯერ კიდევ გვხვდება მშდ კომპლექსისადმი გულგრილი დამოკიდებულების შემთხვევები, ადგილი აქვს სიყალბეს. სპორტსაზოგადოება შედარებით ნაკლებად ზრუნავს ჭადრაკის, ჭიდაობის, კალათბურთის და სხვა სახეობების განვითარებისთვის.

### წყალში ჩაყრილი ათასები...

წყალტუბოს ახალგაზრდობას ბევრს ჰპირდებოდა 1968 წელი. მაშინ გადაწყდა კომპლექსური სტადიონის მშენებლობა ათიათასიანი ტრიბუნებით. შესანიშნავ წამოწყებას, რომლის ინიციატორები კურორტის ხელმძღვანელები იყვნენ, მთელი რაიონი გამოეხმაურა. კურორტის ჭარბი შემოსავლიდან გამოიყო თანხა მშენებლობისთვის და საქმეც თავისი გზით წავიდა.

2 წელზე მეტ ხანს გუგუნებდნენ ბულდოზერები და ექსკავატორები, ტრიბუნები დღითიდღე მაღლა მიიწევდა და სტადიონიც თავის ფორმას იღებდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როცა მშენებლობის დამთავრებას ცოტაღა აკლდა, მუშაობა შეწყდა... და აღარც გაგრძელებულა.

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. უპატრონოდ მიტოვებული სტადიონი გავერანდა, ტრიბუნები დაზიანდა, მინდორს სარეველა დაეპატრონა, ბევრგან წყალი დაგუბდა. ერთი სიტყვით, სტადიონი, რომელსაც შენატროდა რაიონის ახალგაზრდობა, ჭაობს დაემსგავსა.

— რამ შეუშალა ხელი სტადიონის მშენებლობას? რატომ ბოლომდე არ მიიყვანეთ კარგად დაწყებული საქმე? — ასეთი კითხვებით მივმართეთ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს შ. კინწურაშვილს.

— სტადიონის პრობლემა ყოველთვის აწუხებდა ჩვენს რაიონს, — გვითხრა მან, — სამწუხაროდ, ეს საკითხი სადღეისოდაც მოუგვარებელია. მართალია, დავიწყეთ მისი მშენებლობა, რისთვისაც 169 ათასი მანეთი იყო გამოყოფილი, მაგრამ... სახსრები შემოგველია და საქმეც დაუმთავრებელი დარჩა.

წყალტუბოელებს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი შეჰპირდა დახმარებას, მაგრამ დაპირებას ჯერ საქმე არ მოჰყოლია.

ასე ჩაიყარა წყალში სახელმწიფო ფული, რომელიც მომავალი თაობის ფიზიკურ აღზრდას უნდა მოხმარებოდა.

### ბაზები პირველ რიგში

კარგი საქმე გააკეთა კურორტის მართვის საბჭომ. ქალაქის ცენტრში ჩოგბურთის 4 შესანიშნავი კორტი მოეწყო. აქვეა კალათბურთისა და ფრენბურთის 2-2 მოედანი.

სამწუხაროდ, ეს ბაზა ერთადერთია მთელს რაიონში, სადაც შეჯიბრების ნორმალურად ჩატარება შეიძლება. წყალტუბოში არც საცურაო აუზია და არც მძლეოსნური სარბენი ბილიკები. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება ამ სახეობებში ძირითადად ქუთაისის ბაზებზე ხდება.

დასანანია, რომ შესანიშნავი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების გვერდით აშკარად იგრძნობა სპორტული ბაზების ნაკლებობა.

ე. ბერიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

წყალტუბო.



სურათზე: წყალტუბოს სპორტული კომპლექსის მშენებლობა. წინა პლანზეა ჩოგბურთის კორტები, მის იქითაა ჭაობად ქცეული მშენებარე სტადიონი.

# საქმის დიდი სიყვარულით

ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯ. ქარჩავა) მაღალი აკადემიური წარმატების პარალელურად, დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას. სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის (ფიზაღზრდის მასწავლებელი ხ. კუკავა) 300-მდე მოსწავლეა სპორტულ სექციებში ჩაბმული. ნაყოფიერად მუშაობენ ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, ტყვიის სროლის, მძლეოსნობისა და სხვა სახეობათა სექციები. ხშირად ტარდება შიდასასკოლო შეჯიბრებები, სკოლის სპორტსმენები რაიონულ ღონისძიებებშიც მონაწილეობენ. ქება გადაჭარბებული როდია. ცაიშელმა მოსწავლეებმა 14-ჯერ მოიპოვეს რაიონის სპარტაკიადის ჩემპიონობა, შარშანდელ სპარტაკიადაში პირველი ადგილი დაიკავეს ხელბურთში (გოგონები, ჭაბუკები), ფრენბურთსა (გოგონები) და კალათბურთში. მშდ კომპლექსის ნორმატივები 49 მოსწავლემ ჩააბარა. მომზადდა 27 მესამე და 18 მოზარდი თანრიგის სპორტსმენი.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ფიზკულტურის ოთახი, აგრეთვე, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის სპორტული მოედნები, ორი სახტომი ორმო, 60-მეტრიანი სარბენი ბილიკი სატყორცნი სექტორებით და სხვ.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა








# თბილისი — 74

# ზოგიერთი შენიშვნა

ყოველი დიდი ტურნირის შედეგები სპეციალისტებისა და მიმომხილველთა მსჯელობის საგანი ხდება. ვ. გოგლიძის III მემორიალსაც არ ასცდება იგი. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ, შეჯიბრების სპორტულ და შემოქმედებით შედეგებს ღრმა ანალიზი გავუკეთოთ. ცხელ კვალზე ეს ძნელიცაა. ჟამი ფიქრისა და განსჯისა მხოლოდ იწყება. დავკმაყოფილდებით იმ შთაბეჭდილებებით, რომელიც მემორიალში მონაწილე საქართველოს მოჭადრაკეებმა დატოვეს.

საერთოდ, მათ წარმატებით იასპარეზეს. დიდოსტატმა ე. გუფელდმა ჩვეული ენერგიით და მონდომებით იბრძოლა. მას პარტია არ წაუგია, ზოგიერთში კი შემოქმედებითი სწრაფვა დაამტკიცა.

26 წლის თამაზ გიორგაძემ ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია თავის საჭადრაკო პრაქტიკაში. ეს შემთხვევითი როდია. ამ ბოლო დროს ახალგაზრდა ოსტატმა ორ ტურნირში საერთაშორისო ოსტატის ბალის ნორმატივი შეასრულა. უახლოეს კონგრესზე ფიდე მას მიანიჭებს ამ წოდებას. განვლილ მემორიალში კი გიორგაძემ საერთაშორისო დიდოსტატის ბალიც გაინაღდა. ეს უკვე ბევრისმეტყველი ფაქტია.

ახალგაზრდა მოჭადრაკის წარმატება განაპირობა სისტემატურმა მეცადინეობამ, ბრძოლისადმი რაციონალურმა მიდგომამ და საკუთარი ძალის რწმენამ. გიორგაძის პარტიებში რელიეფურად ჩანს, რომ იგი საუცხოოდ იცნობს და ღრმად ერკვევა იმ სადებიუტო სისტემებში, რომლებიც რეპერტუარში აქვს. ძალებს რაციონალურად ანაწილებს, მაგრამ ზოგჯერ ზედმეტი მოსდის. გიორგაძემ მემორიალში რამდენიმე შეხვედრა უფერული ყაიმით დაამთავრა, მაგრამ როცა ბრძოლა საჭირო იყო, მან შესაშური მონდომება გამოავლინა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს შეხვედრა გ. სიგურიონსონთან, რომელიც გიორგაძემ ეფექტურად ჩაატარა. წარმატებებმა გიორგაძეს საკუთარ ძალებში რწმენა შემატა.

თ. გიორგაძის წინ შემოქმედებითი სრულყოფის ფართო შარაგზაა გადაშლილი და ვფიქრობთ, კვლავაც ვიქნებით მისი ახალი გამარჯვებების მოწმენი.

ნ. გაფრინდაშვილის თამაშმა, ენერგიულმა და ძლიერმა თამაშმა ყველას გული მოინადირა. ყოველ პარტიაში იგრძნობოდა დიდი ოსტატის პალიტრის მრავალფეროვნება.

ნონამ ინგლისელ რ. კინს ათსაათიანი ბრძოლა რომ მოუგო, უხუცესმა საბჭოთა ოსტატმა ნ. სოროკინმა აღტაცებით თქვა:

— ამ ეტლების ენდშპილის მოგებას დიდოსტატებიც დაიკვეხნიდნენ, ნონას კი თავი ისე უჭირავს, თითქოს ეს ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს.

მსოფლიო ჩემპიონის შემოქმედებაში შესამჩნევი გარდატეხა ხდება: იგი გატაცებით და საქმის ცოდნით თამაშობს ენდშპილს. ენდშპილის თამაშში ოსტატობა გამოცდილებასთან ერთად მოდის. გამოცდილებაში, რა თქმა უნდა, ცოდნა და გავება იგულისხმება. სწორედ ცოდნის სიღრმე იკითხებოდა ნონას ენდშპილებში ს. ბოხოსიანთან, ა. ტუზოვსკისთან და რ. კინთან. გაფრინდაშვილმა ნამდვილად დაამშვენა მემორიალი.

ერთხელ საუბარში ვ. უბილავამ გაგვანდო, რომ ბევრს მუშაობს და ეტყობა, ამ შრომას ტყუილად არ ჩაუვლია. 24 წლის ელიზბარმა საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი მოაგროვა. ეს თვალსაჩინო წარმატებაა. ვინც უბილავას თამაშს ადევნებს თვალს, შეამჩნევდა აშკარა შემოქმედებით წინსვლას. დინჯი, წინდახედული და მტკიცე ხასიათის ოსტატი თანმიმდევრულად სრულყოფს თამაშს. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ უახლოეს ხანში უბილავა უფრო დიდი მიღწევებით გაგვახარებს. მთავარია, არ უკლოს მეცადინეობას, არ მიეცეს თვითდამშვიდებას.

ყველაზე დიდი მოულოდნელობაა ბ. გურგენიძის წარუმატებლობა. ჩვენს საერთაშორისო ტურნირებში მას არასოდეს უთამაშია ასე ცუდად. მაშ, რაშია საქმე? ის, რომ გურგენიძე არ აპირებდა მემორიალში მონაწილეობას, ვინაიდან ნ. ალექსანდრიას პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში უნდა გაჰყოლოდა მოსკოვში, მაგრამ მატჩი გადაიტანეს და მას თამაში თხოვეს (საერთაშორისო დიდოსტატისა და ოსტატის ბალის ნორმატივის საგარანტიოდ საჭირო იყო მესამე დიდოსტატის მონაწილეობაც). გურგენიძემ ამაზე უარი არ თქვა და თავდადებული ბრძოლით ცდილობდა აენაზღაურებინა მოუმზადებლობა. იგი ყველა პარტიას უდიდესი დაძაბულობით თამაშობდა, რასაც ბევრ მონაწილეზე ვერ ვიტყვით, ამიტომ ხშირად იყო ცაიტნოტში და ყველაზე მეტი გადადებული პარტიაც ჰქონდა. დიდ შემოქმედებითს ძიებას უნაყოფოდ მაინც არ ჩაუვლია: მისი ენდშპილი ა. ტუზოვსკისთან აუცილებლად შემოივლის საჭადრაკო პრესას და სახელმძღვანელოებშიც მოხვდება. ქართველი დიდოსტატის მაგალითი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ დიდ ტურნირში მოუმზადებელი მონაწილეობა არ შეიძლება.

სოხუმელმა ოსტატმა ა. ტუზოვსკიმ იმედები გაუცრუა მათ, ვინც მემორიალში მის მიწვევას ამართლებდა. უდავოდ, იგი მზარდი მოჭადრაკეა, მაგრამ ზედმეტადაა „შეყვარებული" ყაიმებში. მზადაა მეტოქეს ათიოდე სვლაში დაუზავდეს. მემორიალის პირველ 6 ტურში მან 4 შეხვედრა ყაიმით დაამთავრა, 2 მოიგო და ალბათ იფიქრა, დარჩენილ პარტიებში საერთაშორისო ოსტატის ბალს ისედაც მოვაგროვებო. შემდეგ მან მოგებაზე დაიწყო თამაში და... 9 შეხვედრიდან 7 წააგო. იგი არ იყო ნაჩვევი მოგებაზე გაბედულ, შორსმჭვრეტელურ თამაშს და მეტოქეთა მზარდი წინააღმდეგობაც ვერ დაძლია. ბოლოს თავადაც მიხვდა, რომ „დიდოსტატურ ყაიმებს" ჩვეული მოჭადრაკე შორს ვერ წავა.

მემორიალმა ჩვენს მოჭადრაკეებს გარკვეული სარგებლობა მოუტანა.

თ. გიორგაძე.





სურათებზე: ედუარდ გუფელდი (მარცხნივ) და თამაზ გიორგაძე.

## მემორიალი ციფრებში

ტურნირში გათამაშებული 120 პარტიიდან თეთრებმა 37 პარტია მოიგეს, შავებმა — 18.

თეთრებით ყველაზე უკეთ ითამაშა ე. გუფელდმა — 6 ქულა (8-დან), შავებით — თ. გიორგაძემ — 5,5 (8-დან).

ყველაზე მეტი, ხუთ-ხუთი პარტია მოიგეს ე. გუფელდმა, თ. გიორგაძემ, გ. სიგურიონსონმა, ს. ბოხოსიანმა.

ყველაზე მეტი ყაიმი აქვს რ. ხოლმოვს — 12.

მემორიალი დაუმარცხებლად განვლეს ე. გუფელდმა, თ. გიორგაძემ, რ. ხოლმოვმა.

საბჭოთა მოჭადრაკეთა შორის საუკეთესო იყო რ. ხოლმოვი — 4,5 ქულა 7-დან.

უცხოელ ოსტატთა შორის პირველი იყვნენ გ. სიგურიონსონი და ს. ბოხოსიანი — 4,5-4,5 ქულა (7-დან).

უცხოელ მოჭადრაკეებთან შეხვედრებში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვეს ე. გუფელდმა და თ. გიორგაძემ — 6-6.

უცხოელი ოსტატებიდან საბჭოთა მოჭადრაკეებთან შეხვედრებში ყველას აჯობეს ვ. ჩოკილტიამ და ვ. ნიჩევსკიმ — 4,5-4,5 ქულა (8-დან).

დასკვნით ხუთ ტურში ყველაზე მეტი (4-4) ქულა მოაგროვეს ე. გუფელდმა, თ. გიორგაძემ, ს. ბოხოსიანმა.

ბოლო, XVI ადგილზე მყოფმა ა. შნაპიკმა სამი პარტია მოიგო.

ე. მელიქსეთბეგი,
მემორიალის მსაჯი-მდივანი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# ზამთარს მომზადებული ხვდებიან

ტყიბულში ზამთარი სუსხიანი იცის. იგი თითქმის აპრილის ბოლომდე გრძელდება. ამიტომაც მზადება ზამთრის შესახვედრად ბავშვთა სპორტულ სკოლასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სექტემბრიდან დაიწყო.

მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა საჩუქრად ახალი სპორტდარბაზი მიიღეს. აქ შეიძლება მოეწყოს შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ტანვარჯიშში, მაგიდის ჩოგბურთში, ხელბურთსა და მინი-ფეხბურთში.

შეკეთდა და კეთილმოეწყო სხვა სკოლების სპორტული დარბაზები. სპორტული ბაზების მზადყოფნამ განაპირობა კიდეც სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმების შესრულება.

სკოლებს 1300 თანრიგოსანი უნდა მოემზადებინათ. დღეისთვის მომზადებულია 1155, აქედან 3 პირველთანრიგოსანი, 28 — მეორე, 342 — მესამე და 682 — ჭაბუკთა თანრიგოსანი მოსწავლე.

მშდ ნიშნოსანთა მომზადებას მოსწავლეთა შორის ბავშვთა სპორტსკოლა ხელმძღვანელობს. მშდ-ს პირველ საფეხურზე გამოცდა ჩააბარა 288, მეორეზე — 313 და მესამეზე — 293 მოსწავლემ. სასიამოვნოა, რომ ტყიბულში და მასში შემავალი სოფლის სკოლებში ბევრი შეჯიბრება ჩატარდა.

ნოემბრის პირველ რიცხვებში დამთავრდა მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც ტყიბულის დაარსების 35-ე წლისთავს მიეძღვნა.

ზ. ჯორჯაძე.
(ჩვენი კორ.).

ტყიბული.

# ბრინჯაოს მედალი — ქართულ ფილმს

ტალინი, 17 დეკემბერი. აქ დამთავრდა სპორტული ფილმების V საკავშირო კინოფესტივალი. ფესტივალის საუკეთესო ფილმად აღიარებულ იქნა კინოსტუდია „ლენფილმის" ნაწარმოები „დიდოსტატი", რომელსაც ვერცხლის მედალი და დიპლომი მიენიჭა. ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა ბელორუსიელ კინემატოგრაფისტთა ნაწარმოებმა „დიდი ტრამპლინი". სარეპორტაჟო ფილმებიდან ოქროს მედალი მოიხვეჭა „ხუთჭიდელებმა" (ტალინის კინოსტუდია).

სამეცნიერო-პოპულარულ ჟანრში საუკეთესოდ იქნა მიჩნეული „ცენტრნაუჩფილმის" ნაწარმოები „მწვრთნელი", რომლის შემქმნელებს გადაეცათ ვერცხლის მედალი. ბრინჯაოს ჯილდო მიიღო ქართველ კინემატოგრაფისტთა ნაწარმოებმა „ფალავანი საგარეჯოდან" (ლევან თედიაშვილი). დოკუმენტური ფილმებიდან ოქროს მედალი დაიმსახურა ცენტრალური ტელევიზიის ფილმმა „ტანვარჯიშის გაკვეთილი". მეორე ადგილი მიეკუთვნა ფილმს „ვლადისლავ ტრეტიაკი ბობი ჰალის წინააღმდეგ", რომელიც შექმნა დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ.

* * *

სურათებზე: კადრები ფილმიდან „ვლადისლავ ტრეტიაკი ბობი ჰალის წინააღმდეგ". კარს იცავს ვ. ტრეტიაკი (მარცხნივ კანადელი გ. ჰოუ). იერიშისთვის ემზადება ბ. ჰალი.

# სტუდენტთა თასი

სტუდენტ ფეხბურთელთა რესპუბლიკური თასის გათამაშება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. პირველი ნახევარფინალური მატჩი ჩაატარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდებმა. უნივერსიტეტელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, რომლებმაც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან განმეორებითი მატჩი წააგეს ანგარიშით 1:2, მაგრამ პირველი მოგებული შეხვედრის წყალობით (3:0) საერთო შედეგი უკეთესი აღმოაჩნდათ.

2 მატჩის ჯამში თანაბარი მაჩვენებლები ჰქონდათ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტისა და თელავის პედინსტიტუტის კოლექტივებს (0:1 და 1:0). მეორე მატჩის შემდეგ დაინიშნა დამატებითი დრო, რომელმაც გამარჯვება მოუტანა მომავალ ექიმებს — 3:1 და ნახევარფინალშიც ისინი გავიდნენ.

[illegible]

# ლუჟნიკის სპორტის სასახლეში

1975 წლის სპორტული სეზონის მთავარი შეჯიბრება ფიგურისტებს იანვრის მიწურულში აქვთ. ესაა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც დანიის დედაქალაქი კოპენჰაგენი უმასპინძლებს. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი უძლიერესი ფიგურისტები კოლორადო-სპრინგსში (აშშ) შეიკრიბებიან. იქ ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი.

აი, ამ ორი დიდი ტურნირისადმია მიმართული საბჭოთა და უცხოელი ფიგურისტების სამზადისი. ამ მიზანს ემსახურებოდა ამას წინათ მოსკოვში ჩატარებული საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „ნუველ დე მოსკუს“ პრიზზე. შეჯიბრება მოეწყო ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში და მას უამრავი მაყურებელი დაესწრო. ფიგურისტთა გამოსვლებს თვალს ადევნებდნენ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებიც. მათ უნდა შეეფასებინათ, თუ როგორ ემზადებიან სპორტსმენები პასუხსაგები სტარტებისთვის, რას უნდა მიაქციონ მწვრთნელებმა ყურადღება და როგორ უნდა წარიმართოს მათი მომავალი მუშაობა.

ჟურნალისტები ამ საინტერესო ასპარეზობას თავიანთი მთავარი იარაღით — კალმით ემსახურებოდნენ, ფოტოკორესპონდენტები კი — ობიექტივის მახვილი თვალით. დღეს ჩვენ მკითხველებს ვთავაზობთ საკდესის ფოტოჟურნალისტთა ნამუშევრებს, რომლებიც ამ საინტერესო შეჯიბრების დღეებში იქნა გადაღებული. საშუალება გაქვთ ნახოთ ფ. კრიმსკის, ვ. უნ და-სინის, ვ. ველიკჟანინისა და ა. იაკოვლევის ნამუშევრები.



ს უ რ ა თ ზ ე: გდრ-ის ფიგურისტები კერსტინ შტოლფი და ვეიტ კემპე კმაყოფილი არიან იმით, რომ წყვილთა სრიალში II ჯილდო ერგოთ.



ს უ რ ა თ ზ ე: ახალგაზრდა, ჯერ გამოუცდელი, მაგრამ პერსპექტიული მოცეკვავეთა წყვილი — ლიდია კარავაევა და ვიაჩესლავ ჟიგალინი.



ს უ რ ა თ ზ ე: ირინა მოისეევამ და ანდრეი მინენკოვმა წყვილთა ცეკვებში II საპრიზო ადგილი დაიკავეს.



ს უ რ ა თ ზ ე: კატია და კნუტ შუბერტები (გდრ) — III პრიზიორები წყვილთა სრიალში.

## ჩემპიონატები, მატჩები, სიახლეები

## KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS

### საფრანგეთი

დაიწყო ჩემპიონატის II წრე და მაშინვე მარცხი განიცადა ლიდერმა — „სენტ-ეტიენმა“. მას მასპინძლობდა „მონაკო“, რომელმაც გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. 2 გოლი ჩემპიონის კარში გაიტანა საუკეთესო სნაიპერმა, არგენტინელმა ონისმა. „ბასტიამ“ და „მეცმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0. „პარი სენ-ჟერმენმა“ შინ მოუგო „სტად რეიმსს“ — 3:0.

ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სენტ-ეტიენი“ | 20 | 35:23 | 27 |
| „ბასტია“ | 20 | 28:18 | 26 |
| „სტად რეიმსი“ | 20 | 35:29 | 26 |

### ჰოლანდია

13 ტურის შემდეგ ლიდერთა ხუთეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფშვ ეინდჰოვენი“ | 12 | 39:11 | 22 |
| „ფეიენოორდი“ (როტერდამი) | 13 | 42:12 | 22 |
| „აიაქსი“ (ამსტერდამი) | 12 | 31:11 | 19 |
| „ტვენტე“ (ენსხედე) | 12 | 20:10 | 15 |
| „როდა“ | 13 | 22:23 | 15 |

### პორტუგალია

„პორტუმ“ შინ მოუგო „სპორტინგ ფარენსეს“ — 2:0. ლისაბონში ადგილობრივი გუნდების — „ბენფიკასი“ და „ორიენტალის“ შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. ლისაბონის „სპორტინგმა“ შინ ფრედ ითამაშა ბარეირუს კუფ-თან — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტუ“ | 12 | 25:9 | 20 |
| „ბენფიკა“ | 12 | 24:5 | 19 |
| „ვიტორია“ (გიმარაიში) | 12 | 30:14 | 18 |

### ავსტრია

18 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება:

| | | | |
|---|---|---|---|
| „რაპიდი“ (ვენა) | 18 | 38:12 | 26 |
| „სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი) | 17 | 31:18 | 21 |
| ვოესტ (ლინცი) | 18 | 26:19 | 21 |

### იუგოსლავია

XVII ტურის სენსაცია იყო ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ მარცხი ტუზლაში ადგილობრივ „სლობოდასთან“ — 0:4. სპლიტის „ჰაიდუკმა“ შინ სძლია „რიეკას“ — 1:0.

საუკეთესო სნაიპერია სავიჩი („ცრვენა ზვეზდა“), რომელმაც 9 გოლი გაიტანა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰაიდუკი“ | 17 | 31:15 | 25 |
| „ცრვენა ზვეზდა“ | 17 | 30:20 | 22 |
| „ვოივოდინა“ (ნოვი სადი) | 17 | 25:16 | 21 |

### ბულგარეთი

XV ტურის ცენტრალური შეხვედრა სოფიაში ადგილობრივ „სლავიასა“ და ცსკა-ს შორის დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სლავია“ | 15 | 31:17 | 19 |
| ცსკა | 15 | 26:16 | 19 |
| „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) | 15 | 32:25 | 19 |

### ჩეხოსლოვაკია

დამთავრდა ეროვნული ჩემპიონატის I წრე. დაწინაურდა ბრატისლავის „სლოვანი“, რომლის მოთამაშეები ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ბირთვს წარმოადგენენ. წარმატებით თამაშობენ, აგრეთვე, ქ. ქ. ტეპლიცესა და კოშიცეს გუნდები, ჩამორჩენილთა შორის კი ვხვდებით ცნობილ გუნდებს — „სპარტაკს“ (ტრნავა), „დუკლას“, „სლავიას“ და „სპარტას“ (სამივე — პრაღა).

გათამაშებას ლიდერობს ბრატისლავის „სლოვანი“, რომელსაც 20 ქულა აქვს. 18 ქულით II ადგილზეა ტეპლიცეს „უნიონი“, ხოლო 17 ქულით III — ვსს (კოშიცე).

## „დღევანდელ, ტოტალურ ფეხბურთში...“

ბელგრადის „სპორტი“ აქვეყნებს წერილების სერიას იმ გამოჩენილი იუგოსლაველი ოსტატების შესახებ, რომლებმაც კარგა ხნის წინ დაამთავრეს თამაში, მაგრამ უდავოდ ღირსეულ ადგილს დაიჭერდნენ დღევანდელ ტოტალურ ფეხბურთში.

მიმომხილველი ბროზოვიჩი მიიჩნევს, რომ ზ. ჩაიკოვსკი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი იქნებოდა მსოფლიოში. მას უშრეტი ენერგია, თამაშის ბრწყინვალე გაგება, ჩინებული სისწრაფე ჰქონდა. მიმომხილველს მიაჩნია, რომ „ჩაიკოვსკი თავიდან ფეხებამდე ფეხბურთელი იყო“.

მიმომხილველი რადოვიჩის აზრით „ოსტატი თუ იყო, ეს სტეფან ბობეკი იყო“. მას შეეძლო ვარჯიშის გარეშეც ეთამაშა, დიდებული ტექნიკა და გოლის გატანის იშვიათი უნარი ჰქონდა. ბობეკი ხშირად წყვეტდა ცალკეული მატჩების ბედს. რადოვიჩის აზრით, ბობეკი შესანიშნავად მოერგებოდა ტოტალურ ფეხბურთს.

მიმომხილველი მარიჩი წერს, რომ ომისშემდგომი იუგოსლაველი ფეხბურთელების პლეადაში ყველაზე დიდი იყო ცენტრალური თავდამსხმელი ბ. ვუკასი. „ასეთი ოსტატი ჩვენ დღეს არა გვყავს“. მარიჩის აზრით ვუკასი დღევანდელი ფეხბურთისთვის იყო დაბადებული.

## სხვათა შორის

### მეზერვი ისტორიაში შევიდა

ამას წინათ მსოფლიო კალათბურთის ისტორიაში უმაგალითო ამბავი მოხდა: აშშ-ს სტუდენტთა ათლეტური ასოციაციის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო... ქალმა. ერთ-ერთმა გუნდმა წინასწარ გამოაცხადა, რომ მორიგ მატჩს კალათბურთელ ვაჟებთან ერთად ჩაატარებდა სტუდენტი გოგონა, გვარად სინდია მეზერვი.

სენსაციების მოყვარულ ამერიკულ პრესას მეტი რა უნდოდა? შეჯიბრების ადგილს უამრავი კორესპონდენტი მიაწყდა. სინდიამ მართლაც დაიწყო თამაში თავისი გუნდის შემადგენლობაში, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ მას არ შესწევდა ძალა, მხარი აება პარტნიორი ვაჟებისთვის. მწვრთნელმა იგი ერთი წუთის შემდეგ შეცვალა.

მაგრამ სინდია უკვე შევიდა კალათბურთის ისტორიაში. იგი პირველი ქალია, რომელმაც პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ მამაკაცებთან შეჯიბრებას კალათბურთში აზრი არა აქვს.

### შეთანხმდნენ

ბეირუთი. აქ დამთავრდა ბულგარეთის ფიზკულტურისა და სპორტის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნ. ანდონოვისა და ლიბანის ახალგაზრდობისა და სპორტის გენერალური დირექტორის პოლკოვნიკ გ. ფაჰსის მოლაპარაკება. მხარეები შეთანხმდნენ სპორტში თანამშრომლობისა და სპორტული დელეგაციების გაცვლის თაობაზე.

### სათხილამურო სპორტი

ვალდიზერი. გაიმართა სამთო-მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება „პირველი თოვლის კრიტერიუმი“, რომელიც მსოფლიო თასის გათამაშების პროგრამაშიც შედის. გიგანტურ სლალომში ვაჟთა შორის იმარჯვა პ. გროსმა (იტალია). II ადგილზეა ნაკლებად ცნობილი ი. სტენმარკი (შვეცია). III — ე. ჰეიკერი (ნორვეგია). ქალთა შორის უძლიერესი იყო მ. დრექსელი (ავსტრია). მსოფლიო თასის მფლობელი ა.-მ. პრიოლი (ავსტრია) მეშვიდე ადგილზეა.

შტრბსკე პლესო (ჩეხოსლოვაკია). ორჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრება მოიგო ჰ. ვინკლერმა (გდრ) — 206,8 ქულა. მას 0,2 ქულით ჩამორჩა ჰ. ბუხტა (ჩეხოსლოვაკია).

### ცურვა

პარიზი. საფრანგეთის მოცურავეთა ზამთრის სეზონის პირველ შეჯიბრებაში (25-მეტრიან აუზში) მერცმა 100 მეტრი თავისუფალი სტილით 57,52 წამში გაცურა და გაიმარჯვა. პისტერმა მოიგო 100 მეტრზე ბატერფლაით (1.06,57) და 200 მეტრზე კომპლექსური ცურვა — 2.26,79.

## საკუთარი ინფორმაცია

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

**ხვალ**

ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 87) გაიმართება ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი.

დასაწყისი 14 ს.

**ხვალ**

ალპიურ კლუბში (ლენინის ქ. № 87) გაიმართება ცურვის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი და მოცურავეების მწვრთნელთა რესპუბლიკური კონფერენცია.

დასაწყისი 16 ს.

**25 დეკემბერს**

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბში (ჭავჭავაძის პრ. № 49) მოწვეულია „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს III პლენუმი.

დღის წესრიგი:

ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივნისის დადგენილების შესრულების საქმეში რესპუბლიკის სოფლის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

დასაწყისი 12 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14 უე 04861